—შინაური—

საქმეები

№ 25

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე.

ყოველ-კვირეული გაზეთი

კვირა, 21 აგვისტო 1911 წელი

შინაარსი: სინამდვილე სახარებისა; 2) ნარკვევი ეურნ ლ-გაზეთებიდან—ხელისა; 3) სვანური ენა და ახალი აშორდია—სვანისა; 4) წალმა-უკეულმა კ. წუთისოფლელისა; 5) წერილი რედაქციის მიმართ—ცაცა დარახველიძისა; 6) ნიკორწმიდა—ნიკორწმიდელისა; 7) ჯუმათი—მღვ. ი. ღლონტისა; 8) კვირიდამ-კვირ.; 9) ბიბლიოგრ.—ხ-ლისა.

„მინა სარქმელზე“ ყოველ-კვირეული გაზეთი

ფასი: კაცაგნს შესაბამ № 17). და თბილისში ეკლესიაში ხელას ძაწერა ძა. ბოლა — კაცაგნს შესაბამ № 17). და თბილისში ეკლესიაში ხელას ძაწერა ძა. ბოლა — ბოლ ბაზარში, სამოსანელის შუბის მაღაზიაში. გამოდა ყოველ თვეში ოთხ ნომერი, 32. ხელის მოწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: 3 მანეთი. | | ნახ. წლამ: 2 მანეთი. | | მასადან წლის ბოლამდის 2 მანეთი და 10 შაური.

მისამართი: „შინაური სარქმელის“ რედაქცია.

განცხადება.

ამა წლის ენკენისთვის 14, დილის ათ საათზე, ჰირველი ტოლის მაცხოვრის ეკლესიის გალავანში მოხდება

საჯარო ვაჭრობა

შესახებ ახალის თლილის ქვის ეკლესიის აშენებისა.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდენ აღნიშნულ დროზე და ივაჭრონ; საჭირო იქმნება ამანათი (ზალოგი) ნაღდი ფულისა, ვაჭრობისას 50 მანეთი და კანტრაკტის შეკვრის დროს ერთი მეოთხედი მთელი ჯამისა.

ყოველივე დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ყოველ დროს ადგილობრივ მღვდელთან

კომიტეტის თავმჯდომარე მღვდელი
პოლიევქტოს გაგოშიძე.

3—1

სინამდვილე სახარებისა.

(გაგრძელება *).

მაგრამ, მიუხედავათ ამ საბუთებისა, სახარების სინამდვილის წინააღმდეგ კიდევ შემდეგს ამბობენ: „სახარებაში არის გადმოცემული სწავლა ღმერთზე; მაგრამ რადგან მათი აზრით რწმენა ღვთისა ვერ თავსდება თანამედროვე ბუნების მეტყველების გამარჯვებასთან, განსაკუთრებით კი ვარსკვლავთ მრიცხველობის უკანასკნელ აღმოჩენებთან, ამიტომ არცეთი მოთხრობა სახარებისა სარწმუნო არ არისო.

თუ ეს ასეა, ყველა ბუნებისმეტყველნი და განსაკუთრებით ვარსკვლავთმრიცხველნი ურწმუნონი უნდა იყვნენ. მაგრამ ცნობილია, რომ უშესანიშნავესი ბუნებისმეტყველნი, რომელთა მეოხებით მეცნიერებამ ასეთი გოლიათური ნაბიჯი გადასდგა, ყოველთვის ათავებდენ თავის თხზულებებს ღვთის არსებობის აღსარებით.

ცნობილი ვარსკვლავთმრიცხველი კეპლერი ამ სიტყვებით ათავებს თავის თხზულებას „ჰარმონია ქვეყნიერობისა“: „გმადლობ შენ უფალო შემოქმედო და ღმერთო ჩემო, მიტომ რომ შენ მომეც მე შეძლება დავმტკბარვიყავ შენი ქმნილებით, აღტაცებაში მოვსულიყავ ხელთა შენთა საქმითა. მე გამოუცხადე ადამიანებს შენთა საქმეთა დიდება, რამდენათაც ჩემ განსაზღვრულ სულს შეეძლო მისწვდომოდა შენ უსაზღვროებას.“

ვარსკვლავთმრიცხველი გერშელი ამბობდა: „რამდენათ უფრო ფართოვდება მეცნიერების მხარე, იმდენათ უფრო ცხადი ხდება ღვთის არსებობა, მით უფრო მეტ საბუთს ვპოებთ დაუსაბამო შემოქმედებით და ყოველად შემძლებელ გონიერების არსებობისას“.

შესანიშნავი ვარსკვლავთმრიცხველნი კოპერნიკი და ნიუტონი აგრეთვე მორწმუნენი იყვნენ.

ცნობილი ბუნებისმეტყველი ლინნეი თავის მეცნიერულ ნაშრომის დასასრულს ამბობს: დაუსაბამომ, დიდებულმა, ყოვლის მეცნიერმა და ყოვლად ძლიერმა ღმერთმა განვლო ჩემ წინაშე! მე არ მიხილავს იგი პირისპირ, მაგრამ მისმა გამოკრთოლვამ შეიპყრო ჩემი სული და აღუძრა მას კეთილძალულება! მე ყველგან ვამჩნევდი მის კვალს მის ქმნილებაში. ყოველ მის საქმეში, თითო უმცირესში და შეუმჩნეველშიც, როგორი ძალა, როგორი სიბრძნე, როგორი წარმოუდგენელი სისრულე გამოსჭვივის. მე განმიცდია, როგორ მიდიან ერთი მეორეზე ჯაჭვივით გადაბმული სულიერი არსებანი, უერთდებიან მცენარეულობის სამეფოს, ხოლო მცენარეულობა უერთდება მინერალთა სამეფოს, რომელიც იმალება დედამიწის გულში, ხოლო თვით დედამიწა შეუცველად ტრიალებს მზის გარშემო, რომელიც აცხოველებს მას. ბოლოს მე განვიცადე მზე და ყველა დანარჩენი მნათობები, მთელი ვარსკვლავთა სისტემა, დაუსრულებელი, აურაცხელი თვის უსაზღვროებაში, დაკიდებული საუკუნო ცალიერობაში პირველ მიუწვდომელ მამოძრავებელისაგან, არსებათა არსებისაგან, მიზეზთა მიზეზისაგან, მსოფლიოს წინამძღვარისა და მცველისაგან, უჯლისა და მოქმედისაგან ყოველი საქმისა ქვეყნად. ამნაირათ ჯერ არს რწმუნება, რომ არის ღმერთი დიდებული და დაუსაბამო, არ დაბადებული არა რომელიმე არსებისაგან, რომელმან შექმნა ეს მსოფლიო საქმე და დაამყარა შიგ წესიერება. იგი განუცდელია ჩვენ თვალთათვის, თუმცა აღავსებს მათ ნათლითა. მხოლოდ ერთი გონება სწვდება მას; მხოლოდ ამ ღრმა საკურთხეველში იმალება მისი დიდება.“

ვარსკვლავთმრიცხველი და ფილოსოფოსი ფლამარიონი ამბობს: „თუ ღმერთი არსებობს, მაშინ მის მყოფობაში ეჭვის შეტანა არ შეუძლია მეცნიერებას.“ როცა მეცნიერული თვალსაზრისით ხელი მიჰყო ღვთის არსებობის დამტკიცებას, იგი მივიდა იმ დასკვნამდის, რომ „ასტრონომიულ წყობილების მათემათიკურ წესიერების მიზეზი არის უმაღლესი საბრ-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 24.

ძნე, უეჭველია უმაღლესი, ვიდრე სიბრძნე ვარსკვლავთმრიცხველებისა, რომლებმაც გამოიკვლიეს ქვეყნიერების მმართველ-მოძრავებელი კანონების გამომეტყველება, და რომ ქვეყანაზე, როგორც აგრეთვე ცათა შინა, არის მიუწთომელი გონიერი ძალა, რომელიც განაგებს მთელ ქვეყნიერობის ოჯახობას და შეადგენს მის დიდებას და მშვენიერებას". მიაღწია თუ არა ამნაირად ღვთის არსებობის სინამდვილეს და აუცილებლობას, ფლამარიონი ათავებს თავის დასკვნას შემდეგი ლოცვით: „ჰოი უცნობელო, საიდუმლოებით მოცულო არსებავ! ჰოი, დიდო და მიუწთომელო! ვინ ხარ და რა ხარ შენ, თუ საქმენი შენნი ასე დიდნი არიან? საცოდავი ადამიანები, ეს შეურაცხი ჭიანჭველები, რომლებიც დაფუსფუსებენ მათ შეურაცხ (НИЧТОЖНЫЙ) პლანეტზე, დარწმუნებულნი არიან, რომ გივლიან შენ, ჰოი ყოვლისა უმაღლესო! და რა სახელი უნდა უწოდოთ მას, ვინც უარყოფს, ვისაც არ სწამხარ, ვინც შენზე ფიქრით არ ცხოვრობს, ვისაც არასოდეს არ უგრძვნია შენი ახლოყოფა, მამაო ყოვლისა ბუნებისაო? მე სიყვარულით მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე ჰოი საღვთო დასაბამო, მაგრამ მე იმდენათ შეურაცხი ვარ, რომ ფიქრსაც ვერ ვბედავ, რომ შენ შეისმენ ჩემ ვედრებას. მაგრამ შენ გესმის ჩემი, შემოქმედო! შენ, რომელიც აძლევ მინდვრის ყვავილს სიკეკლუცეს და სურნელებას, მისმენ მეც! ოკეანეს ხმა ვერ დაფარავს შენგან ჩემ ტიტინს და ჩემი აზრი აღწევს შენამდი ამ საზოგადო ლოცვაში"!

აი როგორ სწვთებოდენ ქვეყნის შემოქმედს დიდებული ადამიანები! საფუძვლიანმა, წინათ განუზრახველმა ბუნების კანონების შესწავლამ, და მსოფლიოს, ყოვლის თავის დიდებით, განხილვამ მიიყვანა იგინი არა ღვთის უარისყოფამდი, არამედ მის არსებობაში დარწმუნებამდი. და რამდენათ მტყუანი არიან იგინი, რომლებიც ცდილობენ დაარწმუნონ უნცროსი ძმები, რომ რწმენა ღვთისა შეუხამებელია მეცნიერულ გამოკვლევებთან, რომ სარწმუნოებას ძირი ეთხრება რამდენათაც კაცის გონება იკვლევს ბუნების საიდუმლოებას! და რამდენათ მართალი იყო დიდებული ბეკონი, როცა ამბობდა, რომ „ცოტა მეცნიერება გვაშორებს ღმერთს, ხოლო ბევრი გვაახლოვებს მასთანო."

მაგრამ. ბუნების კანონების შეუსწავლელადაც, მხოლოდ ქვეყნიერების დიადობის ცქერას მოჰყავდა ხალხები ცნობად ჭეშმარიტი ღვთისა, როგორც შემოქმედისა და ყოვლის მპყრობელისა. ცნობილი ბერძნის მწერალი, ისტორიკოსი და მოგზაური პლუტარხი, ამბობდა: „შემოიარეთ მთელი ქვეყნიერება და თქვენ ყველაფერში ბევრ განსხვავებას ჰპოებთ: თქვენ შეხვდებით სოფლებს, სადაც არავითარი კანონი არ არსებობს; ნახავთ ადამიანებს, რომლებმაც არ იციან, რა არის ფული; შეხვდებით ქალაქებს, სადაც არ აქვთ სიმაგრეები; მთელ ტომებს, რომლებმაც არ იციან სახლკარი, მაგრამ თქვენ ვერსად ვერ შეხვდებით ისეთ მხარეს ან ხალხს, რომელთა შორის არ აშენებდენ საკურთხევლებს და სასხვერპლოებს, სადაც არ სწირავდენ სხვერპლს და არ აღავლენდენ ცისადმი ლოცვას". ხოლო ციცერონმა სთქვა: „არ არის ისეთი ხენეში და ველური ხალხი, რომელსაც არ სწამდეს ღმერთი, თუნდა იმავე დროს მან არ იცოდეს მისი არსება. ხოლო რაც ასე საყოველთაოა, რაშიდაც ყველა დარწმუნებული ვართ, ის არ შეიძლება ტყუილი იყოს."

დიახ, თუმცა ყოველ ხალხში, ყოველ მხარეში შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არ სწამთ არსებობა პიროვნული ღმერთისა, არ ყოფილა და არ არის ისეთი ხალხი, რომელიც სათითაოთ ყველა უღვთო ყოფილიყოს. და ეს რწმენა ღვთისა, რომელიც თანშობილი თვისებაა ყოველი ხალხისა, ეს მისწრაფება ადამიანებისა მასთან კავშირის დაკავებისა, ადამიანის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს. ყველა იმ არსებათაგან, რომლებითაც დასახლებულია დედამიწა, მხოლოდ ადამიანი, როგორც საღვთო გონების ნაპერწკლით დაჯილდოებული, მიისწრაფვის თავის შემოქმედისაკენ, მხოლოდ ის არის რელიგიოზური.

და რამდენათ უფრო მაღლა დგება ადამიანი ცხოველებზე თავის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებით, იმდენათ უფრო შესაძლებელია მისთვის დაუახლოვდეს ღმერთს და თავი მოიდრიკოს წინაშე მისი სიბრძნისა, ძლიერებისა და დიადობისა.

(შემდეგი იქნება).

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

გაზ. „Уг. Р.“ № 170 ბატ. ტ. არდოვი დასტირის დღევანდელ რუსეთის გათახსირებულ ცხოვრებას, ხალხის გარყვნილებას და გაველენებას, მართლმადიდებლობის, ნამდვილ ძველ მართლმადიდებლობის, დაკარგვას, რომელიც სახელმწიფომ დაიმონა, რომელსაც მხოლოდ გარეგანი ფორმალა შერჩენია. ავტორის აზრით მართლმადიდებლობა რუსეთში იმ ზომამდი დაეცა რომ

ხალხი ათასობით შორდება და გადადის სხვა სარწმუნოებაზე, თვით წარმართობაზედაც კი. მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს კიდევ ნახევარ ბერს არ შეადგენს. რუსეთისთვის, როგორც სახელმწიფოსათვის. დიდი დასაკლისი არ არის, თუ რამოდენიმე ნაწილი მცხოვრებლებისა ჩამოშორდება. მართლმადიდებლობას სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელ რიგს შექმნის იგი. ბევრ შემთხვევაში ეს სასარგებლოც კი აღმოჩნდება. უფრო საშიშარია სხვა რამ. უფრო საშიშარია სამეფოსა და საზოგადოებისათვის, როცა მდაბიო ხალხიდან გამოსული იქვითა და უსასოებით შეპყრობილნი არც ერთ სარწმუნოებას არ ემხრობიან, არამედ რჩებიან რა სახელით მართლმადიდებელნი, ნამდვილათ კი სცხოვრობენ განძვინებულ, მტრულ ულთოებაში და, როგორც იტყვიან, „აფურთხებენ ყველაფერს, გარდა თვისის თავისა.“ ჩვენი ქალაქები და ამ უკანასკნელ დროს სოფლელებიც სავსეა ასეთი ჯურის ინდივიდუალისტ-ათეისტებით, რომლებიც თავის სიცოცხლეს მძვინვარე ლოთობაში და ხულიგანობაში ატარებენ, რომლებიც ზედიზედ ხრწნიან მცირეწლოვან ქალებს, ნახევარ ბოთლ არაყისთვის ჰკლავენ დედებს და მამებს, ძარცვენ სასაფლაოებს და ეკლესიებს. ჩვენი ცხოვრების მხეცურმა აწეწილ-დაწეწილობამ, აღზრდის სრულ უქონლობამ, ოჯახის მდგომარეობამ და განსაკუთრებით ჩვენი ეკლესიის მდგომარეობამ შექმნეს რაღაც განსაკუთრებული ტიპი რუსის მდაბიო ხალხის ახალგაზდობისა, ვიღაც ლოთ ეშმაკის კუდებისა, რაღაც გიჟურ და თავზე ხელაღებულ ნიგილიზმში აღზრდილისა. ხატის შეფურთხება, მოხუცის სილის გაკვრა, დედის წყენინება მათთვის პირველი სიამოვნებაა. სინჯეთ და უთხარით მათ: „გეშინოდეს ღვთისაო“, იგინი გიპასუხებენ ტიპიური ფრაზით:

— ჩვენ ღმერთს წვერს ვაგლეჯთ! ჩვენი ღმერთი მიკიტა მედუქნეა! ღმერთი ჩვენ ხარშოს ჩავატანეთ და ნახევარი ბოთლი არაყი ზედ დავასხით!

და, რაც უფრო სამწუხაროა, ეს ხულიგანური ფილოსოფია ეკუთვნი არა ნამდვილ ხულიგანებს, არამედ იმ გზადაბნეულ ბიჭებს, რომლებიც ჩამოშორდენ შრომას, ნიგილიზმით თანდისთან იეღენთება მთელი ხალხი. მამები, რომლებიც თავის ქალიშვილებთან ცოლქმრული კავშირით სცხოვრობენ, მამები, რომლებიც ვაპრობენ თავის ქალიშვილებით, გლეხი-შანტაჟისტები, რომლებიც ასე გამრავლდენ ახლა სოფელში, ნაფიცი მოქეიფენი და გარყვნილი კაცები, რომლებიც თავის მცირეწლოვან შვილების ნაოფლარით ცხოვრობენ—ყველა ესენი ადიარებენ იმავე ნიგილიზმს, იმავ ულვთო ფილოსოფიას: „შეაფურთხე ყველაფერს, შეინახე შენი თავი.“

..., ეხლა ყველა დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ქურდობით და მოტყუილებით შეიძლება რამეს მიაღწიო, რომ ყველა შენი მტერია და არა თუ უნდა „გიყვარდეს

მოყვასი", არამედ, წინააღმდეგ, უნდა ცდილობდე, რომ ავნო, მაგრამ ჩუმათ, რომ არ გაგიგონ და არ დაგიჭირონ.

მერმე ვინ არის ყველა ამაში დამნაშავე? ვინ გარყვნა, ვინ დასცა ზნეობრივად ხალხი? ავტორის აზრით აქ არც ხალხი და არც ინტელიგენცია (?) არაფერ შუაშია.

საქმეც იმაშია, ამბობს ავტორი, რომ აქ უბედურებას გარედან მოტანილი ინტელიგენციის დანერგული ურწმუნოება კი არ შეადგენს, არამედ აქ უნდა ვხედავდეთ ღრმად ჩამჯდარ, ორგანიულ ავათმყოფობას, როგორ უნდა გავკიცხოთ ეს ნიგილისტები და ხულიგანები, როგორ უნდა დავკრათ მათ ქვა, როცა თვითეული ჩვენთაგანი, თანამედროვე რუსულ სინამდვილის მხედველი, მზათაა მწუხარებით წამოიძახოს:

„დიახ! რუსულ ცხოვრებაში მართლაც ბოროტება დღესასწაულობს და არა სიკეთე, დღესასწაულობს სიცრუე და ფარული დამნაშაობა; რუსულ ცხოვრებაში შრომას, პატიოსნებას და მოყვის სიყვარულს არ აქვს არავითარი ფასი; რუსულ ცხოვრებაში დიდი ხანია დაეხობილია და გათელილი მცნებების ფიცარია; რუსულ ცხოვრებაში მეფობს არა სიყვარული, არამედ ძალმომრეობა, არა ნდობა ადამიანთა შორის, არამედ ბოროტი შურით საკუე იპვიანობა, და ადამიანი სცხოვრობს აქ არა ქრისტიანულ საზოგადოებაში და სამშობლო მხარეში, არამედ მტრის ბანაკში".

უბედურება იმაშია, რომ ჩვენში შეიძლება ნიგილისტი ან თავის მკვლელი გახდე ბოროტი ნების გამო კი არა, არამედ სასოწარკვეთილების გამო, როცა თქვენი გულწრფელობა მოტყუებულია, როცა თქვენ ხედავთ, რომ ყველა თქვენი საუკეთესო, კეთილშობილური მისწრაფებანი ტალახში ითელება, თქვენს პატიოსნებას შეურაცხება შეურაცხებაზე ადგება, და ყველაფერი გაიძულებს ცოდეითი ცხოვრებას და ყოველგვარ იდეალების დავიწყებას, და თუ თქვენ არ გნებავთ ასეთი სიცოცხლე (გაიძულებს) თავის მოკვლას.

ავტორის აზრით არ შეიძლება ბრალი დაედვას მდაბიო ხალხს გარყვნილებაში, რადგან მისთვის არავის უსწავლებია, მაგალითი არავის უჩვენებია, წინააღმდეგ, იგი ისეთ მაგალითებს ხედავდა და ხედავს უფლების მექონ მმართველ კლასებში, რომლებსაც უნდა აღეზარდათ მასში: ძალმომრეობა, უგულობა, მექრთამეობა, უსამართლობა, ჩაგვრა, შეუბრალებლობა და სხვა ბინიერებანი. ასეთია მდგომარეობა.

ვის შეეძლო მიეცა მისთვის სარწმუნოება და იდეალი? აქ თვალწინ მიჯგება ეკლესია, სოფლის მღვდელი, და ხელი არ მემორჩილება მათ ბრალსადებათ. მაგრამ რა უნდა გაეკეთებია ამ ეკლესიას თუ და იდეალურიც ყოფილიყო იგი, რა შეეძლო გაეკეთებია ამ საზოგადო დაცემის, ზნეობრივ გაველურების, ყველაფერში იმედის დაკარგვ ს, საკუთარი შრომის ნაყოფიერების უარყოფის დროს, რა შეეძლო გაეკეთებია ამ სახელმწიფოს მონას ძალმომრეობის და ადამიანის პიროვნების ჩაგვრ ს ატმოსფერაში, რასაც პირდაპირ ბრძანებდა სახელმწიფო. არა თუ ესწავლებია „მცირედთათვის" და დაეთესა ქრისტიანობა,—თვით იგი ირყვნებოდა ამ სახელმწიფოს მონებაში, ისეთ იდეას მსახურებაში, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგია იმისა, რაც ქრისტემ დაუდვა მას საფუძვლად, რაც არა თუ ღვთისაა, არამედ ეშმაკისაა, ანტიქრისტესია,—ირწყვებოდა, ჰკარგავდა სასესა და სულს და გაირყვნა კიდეც. წარმოუდგენელია და შემაძრეველი ის ზნეობრივი დაცემა, რომელიც გამეფებულია ჩვენ სამღვდელოებაში და საქმე უკვე იქამდის მივიდა, რომ ჩვენი სამღვდელოება გახდა ხალხის სასაცილოდ. მე არ მოვიხსენებ აქ იმ მამათა რიგს, რომელთა საქმენი საგმირონი, გამოქვეყნებულია ამ უკანასკნელ დროს. იმდენათ საზიზღარია მათი მოქმედება, რომ უნჯოესია ჩუმათ აუაროთ გვერდი. აიღეთ მხოლოდ

საზოგადო ზნეობრივი მდგომარეობა მართლმადიდებელ ღვთის მსახურთა: უნდა იცოდეთ, რომ უმრავლესი მათგანი თავის ზნეობრივ იდეალებით არაფრით განირჩევა მეშჩანებისაგან ან დაბალ ჩინოვნიკებისაგან. სოფლელთა ჩლუნგი ბედითობა, მშვიდობიანი ცხოვრება კეთილმზრუნველ მთავრობის კალთას ქვეშ, სიმდიდრის შეძენა,—აი იდეალი, აი საუკეთესო ოცნება მათი უმრავლესობისა. კონსისტორიის „დონოსებმა" და ჩინოვნიკობამ ჩაჰკლეს სამღვდელოებაში ცხოველი სული და გადააქცია იგინი კვერექსების და მთავრობისგან ნება დართულ ქადაგების მოლაპარაკე მანქანად. სად არის ღვთიური ცეცხლი, სად არის მოღვაწეობისადმი ლტოლვილება, სად არის ქრისტიანული სულის დაგვა? გინახავსთ იგი, შეხვედრიხართ ასეთ მწყემსებს რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეში? რა უნდა მიეცა ხალხისთვის ასეთ ეკლესიას? რა უნდა ესწავლებია? მხოლოდ ურწმუნოება, მხოლოდ ნიგილიზმი და მცენარობა ყოველ ლოთობაში და არაყის სმაში, სულის საცხონებელ წამლათ.

რასაც აქ რუსეთის ეკლესიასა და სამღვდელოებაზე ამბობს პატივცემული ავტორი, არა ნაკლებ ეკუთვნის ჩვენ სამღვდელოებასაც. წინააღმდეგი გასაკვირველიც იქნებოდა: ასი წლის მონობამ თავის წაუშლელი კვალი დააჩინა საქართველოს ეკლესიას და სამღვდელოებას. უბედურება კიდევ მით ორკეცდება, რომ ჩვენ არ გვეჩნევა გამოფხიზლება, არ გვეჩნევა შეგნებაც ჩვენი უკუღმართი მდგომარეობისა და მით უფრო ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევისა...

ჩელი.

სვანური ენა და ახალი აშორდია

არავისათვის ამ ჟამად საიდუმლო აღარ არის ის გარემოება, რომ სვანნი გვარ-ტომობით ქართველებს ეკუთვნიან და სვანური ენაც (კილოკავი) იგივე ქართულია. მეტს ვიტყვი, სვანური ენა და პოეზია არის საცავი ძველი ქართულის ენისა, რადგან იქ ბევრი ძველი ქართული სიტყვებია დაცული.

თუ რომელიმე მეცნიერი აქამდისინ ზერელედ უყურებდა ამ საკითხს და სვანებს შეცდომით თიშავდა ქართველებისაგან, დღეს ამ გვარობას ადგილი აღარ აქვს, უკეთ რომ ვსთქვათ, ადგილი არ უნდა ჰქონდეს. აქამდისინ თუ ეს საკითხი პოლიტიკურს ნიადაგზედ გადაჰქონდათ და ამ სახელით ნათლავდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ მთავრობის მოხელეთა გული მოეგოთ და თავი წარჩინებულ ეყოთ, დღეს ამ გვარი გარეწრობით ვერავინ ვერ დაუბნელებს თვალებს ვერც მთავრობასა და ვერც საზოგადოებასა, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ყოველთვის აფასებდა და აფასებს კიდეც ამგვარ ვაჟბატონთა „პოლიტიკანობა-გაიძვერობასა" და შესაფერს მსჯავრს სდებს.

მაგრამ, ვაი, რომ აშორდიები თურმე ყოველთვის არიან და მეორე გულშემატკივარი (პირველი ჩვენშივე ბუდობს დიდი ხანია—ჩვენებურია) აშორდია დღეს ჩვენ, სვანებსაც, გამოგვიჩნდა: რასაც ჩვენ ვერ მივხვდარვართ და პირველმა სვანელმა შორდიამ ვერ შესძლო, ის ნაკლი დღეს სვანეთის ბოქაულად ნამყოფმა ალექსანდრე წერეთელმა შეავსო.

საქმე შემდეგშია: ხსენებული ბოქაული მარშან გადააყენეს თანამდებობიდგან, ეს გარემოება წერეთელმა სვანეთის სამღვდელოებას მიაწერა, და ამიტომ სვანეთის სამღვდელოებაზედ საზიზღარი საჩივარი (ДОНОСЪ) შეიტანა ეგზარხოსთან და რომ უფრო დიდი გავლენა მოეხდინა თავისი საჩივრისათვის, სამღვდელოება ქართულს ენაზედ ღვთის მსახურების შესრულებისათვის მთავრობის მოღალატედ დასახა და, სხვათა შორის, პირველ საბრალმდებულო მუხლად შემდეგი დასწერა. «Церковная служба совершается на непонятномъ сванамъ грузинскомъ языкѣ, которая съ такимъ же успѣхомъ могла-бы совершаться на русско-славянскомъ».

ნუ სწუხდები, ბ. წერეთელო; ჩვენ გასაგებ ენაზედ გადიდებთ ღმერთსა, რომელიც ჩვენ ჯერ არ დაგვიკარგავს, ქართული ენა ჩვენთვის ღვარძ-

დი ენაა, გასაგებიცა და საუკუნოებისაგან ნაკურთხიცა... თქვენდა უნდა იცოდეთ. ამით შორს ვერ წახვალთ და ვერც ბოქაულობას იშოვით... ბ. წერეთელი, დღემდის სვანეთის მაღლიან ბუნების სტუმართმოყვარეობით სარგებლობს და დახეთ, როგორ გ(ა)იხდის? «წერეთელდ სიკეთიშ მუქაფდ ორგულობ გვ(ა)ვერ» (წერეთელმა სიკეთის მუქაფად ორგულობა გვიყო)! დააკვირდი, ბ. წერეთელო, ამ წინადადებას და სთქვი: ქართულია იგი თუ არა?

სვანი.

წალმა-უკუღმა.*)

(მოთხრობა კირილე წუთისოფლელისა)

დანიშნულს დღეს, კოლია და ლიზა ჩამოვიდნენ ქუთაისში; კოლია იმავე საღამოს გაბრუნდა და ლიზა ორის კვირით დასტოვა მამის სახლში. ლიზამ თავისი საიდუმლო ქრისტინას გაუზიარა, ამ უკანასკნელმა, ეს ქმარს უამბო, რომლით მთელი ოჯახი მწუხარებას მიეცა. იორდანეს ადგილი ჰქონდა, რომ ეთქვა: «თქვენ დაიჩემეთ, თორემ მე არ მსურდა ის სიძეთო»,—მაგრამ ამაზე სიტყვაც არ დაუძრავს. იორდანემ დაიბარა მოძღვარი, რომელიც დაუყოვნებლივ მოვიდა. მოძღვარმა გაიგო რაშიაც იყო საქმე და თვითონაც გაიზიარა თავის მოწაფეების მდგომარეობა. „ვმადლობ ღმერთს,—სთქვა მოძღვარმა სამივეს თანდასწრებით,—რომ ასეთ საქმეს თქვენში სინანული გამოუწვევია. შვილო ლიზა! შენთვის უმჯობესია, რომ ამგვარ ამხანაგთან მოგხვდომია ცხოვრება. იქნება ეს ღვთის განჩინებით იყო; შეიძლება, შენ დასასჯელად სრულიადაც არ ერგუნებია ეს შენთვის ღმერთს; იქნება, თქვენი ცოლ-ქმრობა იმ ზეციური განაჩენით მოხდა, რომ შენ, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, მოგექცია ულმრთო გზაზე დამდგარი ადამიანი; შენ უნდა ეცადო, რომ მოაქციო კიდეც და ნამდვილი ადამიანური ცხოვრების გზაზე დააყენო კოლია... წარსულს, მნიშვნელობა ცოტა აქვს, თუ მომავალში გასწორდა... მე გამოგიგზავნი წიგნაკს: „მარიამ ეგვიპტელის ცხოვრებას“, რომელშიაც შენ წაიკითხავ, რომ ის ერთი უბოროტესი ადამიანთაგანი იყო დედათა შორის, მაგრამ უცბად გაიგდო ბოროტება და ერთგულად შეუდგა ღმერთს; მან წარსული ცოდვები, შემდეგი ცრემლებით დაადნო და არა თუ დაღუპულა, წმინდათა შორის ჩაირაცხა... ნუ სწუხარ, რომ კოლიას ავაზაკური მიმართულება ჰქონია ახალ-გაზდობაში, იმედი მაქვს, რომ მომავალში ღვთის საყვარელი შეიქმნეს...“

მთელი ორი-სამი საათი ესაუბრა მოძღვარმა თავის მოწაფეებს ამ საგანზე და ჩინებულადაც ანუგეშა ისინი. გარდა ამისა, მან „უცნობი პირისაგან“ ხელმოწერილი წერილიც დასწერა კოლიას სახელზე და გარდასცა იორდანეს, რომელიც, ლიზას წასვლის უკან, რავდენიმე თვის შემდეგ უნდა გაეგზავნა. წერილში ერთობ ბევრი დარიგება იყო: „კოლია! შენ ცხოვრობ მარტო საქაოსთვის; ვინც ასე იქცევა, მას ეღუპება ეს საქაო ცხოვრებაც. დაიჯერე, რომ შენ ცთები და ცთები მწარედ; ირწმუნე, რომ თუ გონებაში არ ჩასულხარ და ჭეშმარიტ გზაზე არ დამდგარხარ, აუცილებელი განსაცდელი გვერდში გიდგას; ვერავითარი საშუალება ვერ დაგიფარავს დაღუპვისაგან. იგრძენი, რომ შენ ლესავ დანას, რომელიც თუ ეხლავე არ გაგიგდია, შენვე გაგიპობს მუცელს...“

მღვდლის დარიგებამ ჩინებულად იმოქმედა ლიზაზე. მას გულზე მოეშვა და გადასწყვიტა: რითაც იქნებოდა, გამოებრუნებია კოლია უკუღმართობისაგან.

კოლია რომ ჩამოვიდა, ლიზა კარგა მხიარულად დაუხვდა, რაც კოლიას ძალიან სასიამოვნოთ დაურჩა. ლიზას ახლა იმ უეცარმა და აჩქარებულმა სიძულვილმაც გაუარა, რაც კოლიასადმი უეცრად დაებადა... წამოსვლისას, ლიზამ ერთი ხატი წამოასვენა მამის სახლიდან, რაც კოლიამ მხოლოდ მაშინ ნახა, როცა ის უკვე ესვენა თავის ადგილზე, რაც

*) იხ. „შინ. საქ.“ № 23.

სრულიადაც არ მოეწონა მას, მაგრამ ცოლის ხათრით არა უთქვამს-რა.

გაიარა ამის შემდეგ კარგა ხანმა და ცოლ-ქმარს შორის არავითარი უსიამოვნება არ ჩამოვარდნილა. მართალია, ისინი პირადად ძალიანს ერიდებოდნენ ერთი-მეორეს, მაგრამ სულ სხვა და სხვა იყო ცალ-ცალკე მათი აზრი; ქმარს უნდოდა: ცოლისთვის გამოეცვალა აზრი და შეხედულობა ზნეობა-სარწმუნოების და საზოგადოდ კეთილი მისწრაფების შესახებ ჰსურდა, რომ მის ამხანაგსაც იგეთი შეხედულობა ჰქონოდა ცხოვრებაზე, როგორიც მას თვითონ ჰქონდა და ცოლსაც, თავის მხრით, ჰსურდა სრულიად წინააღმდეგი ამისა; მას უნდოდა: პირიქით, ქმრისთვის შეეცვალა ულმრთო აზრები, რასაც ჯერ-ჯერობით ვერც ერთი მათგანი ვერ ამჟღავნებდა... ამ ხნ-ს განმავლობაში, ლიზას ვაჟი შვილი შეეძინა. დედას უნდოდა შვილი თვითონ გაეზარდა, რაც კოლიამ არ ინება; მან სოფლიდან დაიბარა ძიძა და განაშორა შვილი დედას. ლიზას იმდენათ მოსწყვიტა გული შვილის მოშორებამ, რომ მშობიარობის მწუხარებაც გადაავიწყდა, ის სულ ტიროდა, საზრდოს ძალიან ცოტას ხმარობდა და მისი გული შხამიან სევდებს დაემორჩილებია... ჯერ ერთი ჭირნახული და საყვარელი შვილის მოშორებამ გული მოსწყვიტა მშობელ დედას და მეორედ, როგორც ქმარი, არც არავინ მეზობელთაგანი თანამოაზრე არ ჰყავდა; მაშასადამე არ ჰყავდა ამხანაგიც, ამის გამო მას სულით და გულით უნდოდა საქმე ეშოვნა—თვითონ გაეზარდა შვილი და ცხოვრებაში ამხანაგი გაეჩინა, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა. თუმც მან ჩინებულათ მოილოგინა და არავითარი ტკივილები არ დაჰყოლია, მაგრამ გულის მწუხარებამ ყოველგვარ ტკივილებზე მეტი იმოქმედა: ის ერთობ გახმა, ცვილი სანთელივით ჩამოყვითლდა, თვალები ჩაულურჯდა და, სისუსტისა გამო, ხელებმა კანკალი დაუწყეს. სულ რაღაც ერთი წლის უკან თვალ-წარმტაცი ლიზა, მეტად შესაბრალებელი შესახედავი იყო ახლა; მას ახლა თავიც არ ებრალებოდა და ნატვრობდა კიდეც სიკვდილს. ამ გარემოებას, კოლია სრულიად გულ-ცივად უყურებდა. მართალია, ექიმებზე და სხვა და სხვა საშუალებებზე ის ფულს უხვად ჰხარჯავდა, მაგრამ ლიზას საცოდოებით ერთი ბეწო სიბრალულიც არ აღძრულა მის გულში... ერთად-ერთი ნუგეში ლიზასთვის მისი ხატი იყო. ყოველ მარჯვე დროს დაიჩოქებდა ამ ხატის წინ და ცხარე ცრემლებს აფრქვევდა... ერთ საღამოს კოლიამ შეიხედა ლიზას ოთახში და ნახა, რომ ის დაჩოქილი იყო ხატის წინ და ხელებ-აღპყრობილი ცრემლით ლოცულობდა. კოლია გაბრაზდა, შეევარდა ოთახში, ჩამოხსნა ხატი და გადაისროლა ფანჯრიდან. „დაგწყევლოს ეშმაკმა შენ და შენი ხატი,—მრისხანეთ იბღავლა მან,—რა გატირებს შე წყეულო? ვის ტირი, რას ტირი? ტარანივით გამხმარხარ მეტი არა ხარ ქალი და ტირილით და ხატით გინდა თავს უწამლო?... ჩემსას თუ არ დეიჯერებ, ჩემი ჭირიც წაგიღია; გასათხოვი არ ჰყოფილხარ და რაღა ჩემთან დეგეწვა ბედი შე შეჩვენებულის შვილო!...“ ლიზა შეკრთა, შეშინდა, მოყრია სისუსტე და წაუვიდა გული; ის უგონოდ დაეცა იატაკზე. კოლიამ საჩქაროდ ექიმი დაიბარა და ლიზა მოასულიერეს. ექიმმა უთხრა კოლიას, რომ ლიზას საექიმო არა უშავდა-რა. „დასევდიანებულა და შექცევა-გავლა-გამოვლა მოუხდება, რომ გულიდან სევდები გადაეყაროსო“... ლიზა ჩავარდა ლოგინად; გული უწუხდა, არ იცოდა რა ექნა, რა ღონისძიებისთვის მიემართა. ხან და ხან, სხვა და სხვა აზრებთან გაუელვებდა გულში, რომ საუკუნოდ მოშორებოდა ქმარს, გაქცეულიყო მამასთან და არ გაჰკარებოდა კოლიას, მაგრამ, მეორის მხრით. ამაზე კიდევ სიკვდილს რჩეობდა... მთელი სამი-ოთხი თვე იწვა. ლიზა სხვა და სხვა სულიერი სნეულობით შეპყრობილი და ამ ხნის განმავლობაში ერთი სამხიარულო რამ მის გულს არ გაჰკარებია, მხოლოდ კოლიას ჩვეულებრივი რჩევა-დარიგება, უღმრთოებაზე დამყარებული, მის გულს ლახვარივით ესობოდა. რა უნდოდა ლიზას? მას უნდოდა და უყვარდა კიდეც ნამდვილი ოჯახური ცხოვრება, ოჯახური

მზრუნველობა; მას არ ჰსურდა ის ქარაფშუტა სტუმრები, რომელნიც შეუუერებლად დაიარებოდენ კოლიასას; არ ჰსურდა აგრეთვე ის უთავ-ბოლო ლხინი და შეკცევა, რომელსაც ხშირად მართავდა კოლია ძმა-ბიჭების საპატივცემლოდ; მას უნდოდა, რომ ცოლ-ქმარში ნამდვილი ქრისტიანული თანხმობა ყოფილიყო და საბედოვლათოდ გასამეტებელი ფულები, რამე საქველ-მოქმედოთ გაეშვათ, რომელი მიზნისთვის კოლიას კაპეიკიანსაც ვერ გააგდებიებდა კაცი ხელიდან; უნდოდა მყუდრო—პატიოსანი ცხოვრება და ამგვარივე შრომა, რასაც ის, კოლიას ხელში, მოკლებული იყო... რა რომ პირდაპირი საშუალებით ვერას გახდა კოლია, სულ სხვა ღონისძიებას მიმართა: მან ააჩინა ერთი, ორც ახლო, მაგრამ არც შორებელი მეზობელი ქალი—გამოჩენილი სადუხანა, რომელიც საზოგადოთ ზაფრიანების მკურნალად ითვლებოდა და გაურიგდა მას. სადუხანას თაეის იმედი ჰქონდა. მან, ჯერ გამოჰკითხა კოლიას, მიზეზი ლიზას სევდიანობისა, ხასიათი და მიმართულება მისი და შემდეგ შეჰპირდა: „შენ ოღონდ არ მიმტყუნო, აღთქმული თავ-თავის დროზე მიბოძე და სხვისი დარდი ნუ გაწუხებს; ერთი უბრალო ქალს კი არა, პატრიარქს შევუცვლი რჯულსა და რწმენას..." დანიშნულ დღეს, კოლიას ესტუმრა სადუხანა და კოლიაც შინ დაუხვდა; ის მონაზვნურად მორთულიყო და მეტად მისანდომი სახის გამოხატულება მიეღო. პირველ მოვალეობად, მისი უცნობი ლიზა მოიკითხა და იმის ავად-მყოფობით მეტი-მეტად შეწუხდა. „დედაო ღვთისაო, შენ მოხედე შენს მსასოებელს ლიზა-".—პირჯვრის წერით წამოსთქვა მან შემდეგ დაიჩოქა ერთს კუთხეში, აღაპყრო მიბნედილი თვალები ზევით და დაიწყო ლოცვა... ლიზა სასოებით უყურებდა ამ მოქმედებას; მან ისიც კი შენიშნა, რომ სადუხანამ ცრემლებიც ჩამოჰყარა ლოცვის დროს და ამან თვით ლიზასაც მოჰგვარა ცრემლები. როცა სადუხანამ ლოცვა გათავა, კოლიას მიუბრუნდა საყვედურით: „შე დალოცვილო, კედელზე ხატი რომ არ გიკიდია, ხო არ შეგჰამდა? ვის უნახავს, რომ ქრისტიან კაცს ხატი არ ჰქონდა? მე გთხოვ, ეხლავე მოასვენო ღვთისმშობლის ხატი, დაიბარო მღვდელიც, აკურთხებინო და აქვე, ლიზას ოთახში დასვენო"—ლიზას გულში რაღაც იმედის თესლმა იჩინა თავი, სახეზე კმაყოფილება გამოეხატა და სიამოვნების ნაპერწკალმა გაჭკრა მის თვალებზე. საღამოს ყოველივე მზად იყო, რამაც ძალიან ანუგეშა ლიზა. მას ჯერ მის სახლში მღვდელი არ ენახა და ამანაც ძალიან გაახარა მისი გული... „შვილო ლიზა!—მიუბრუნდა შემდეგ სადუხანა,—თუ შენი ნება-სურვილი იქნება, შეიძლება ღმერთმა მაგონოს შენი ექიმობა და თუ მომიღებ, მაქვს ღვთისმშობლის იმედი, კიდეც მოგარჩინო, მაგრამ ამ თავით უნდა გითხრა, რომ რასაც გეტყვი, უნდა დამიჯერო და წამლებიც უნდა მიიღო. დარწმუნებული იყავი შვილო, რომ ურიგოს არაფელს გეტყვი... თუთხმეტი წელიწადია, რაც დავქვრივდი შვილო და მას აქეთ ხ.—ს დედათა მონასტერში ვიმყოფებოდი... რა კარგია, შენი ჭირიმე, მონასტერი! სულ წირვა და ლოცვა, სულ ღვთის ვედრება!.. მე უბედური, აგერ ერთი წელიწადია, რაც არ ვყოფილვარ მონასტერში. ძმა გამიხდა აქ ავათ და იმან დამიბარა; წინამძღვარმაც მირჩია: „წადი და ემსახურე შვილო, ისიც ღვთის სამსახურიაო"—მითხრა და მეც წამოვედი. ჩემი უბედური ძმა მოკვდა და იმის ბალნებს, ჩემს გარდა ყურის მგდებელი არავინ გააჩნია. რა ვქნა, რავა გევიდიდო ცოდვა და რავა დავყარო უპატრონოთ ბალნები, თვარა ისევ გვეოქცევი ჩემს საყვარელ მონასტერში...

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცე

მულ ჟურ. ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

ს. ხრესილი და გურნა. (ოკრიბა)

ოკრიბის სულიერ მამათა მიმართ.*)

სულიერი მამა, როგორც ქრისტეს მოადგილე ყოველივე კარგი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს თვის მიერ რწმუნებული სამწყსოსი, თუ ის პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას მას ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია ხალხისთვის განსაკუთრებით სოფლად, სადაც სწავლა-განათლებას მოკლებულნი მღვდელს შეჰყურებენ, როგორც ღმერთს; რწმენით და ნდობით აღსავსე თვითეული მისი სიტყვა კანონია მათთვის. ოკრიბაში, სადაც უმეტესობა სწავლა-განათლებას მოკლებულნი არიან მღვდელს ხედვენ ქრისტეს მაგივრად და თითეულ სიტყვას სულიერი მამისას დიდი გასავალი და დაფასება აქვს აქ. ასეთ ადგილს თუ სულიერი მამა კეთილსინიდისიერად არ ემსახურება თავის მოვალეობას გაკეთების მაგიერად ბევრს წაახდენს და ხალხს, მხოლოდ საწველ ფურად გამოიყენებს. ს. გურნა მეტად მრავალ რიცხოვანი და, შედარებით ოკრიბის სხვა სოფლებთან, მდიდარი სოფელია; თითქმის 250 კომ. მეტია. ამდენივე იქნება მახლობელ პატარა სოფლებში; სწავლა-განათლებას სრულიად მოწყვეტილთ ერთი სამრევლო სკოლაც არ მოეპოებათ, მღვდელი მათთვის ყველაფერია რასაც ხედვენ მას, მხოლოდ მისი გადაღება, წახედვა შეუძლიათ, ასეთ ადგილს ისეთი სულიერი მამის გაწესება, როგორიც არის მ. გველესიანი დიდ ცოდვა-დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს ჩემის აზრით, თუ მღვდელი თავის მოვალეობას (მე სახეში არა მაქვს გასვენება და ჯვარის წერა, სადაც ქეიფიც კარგად შეიძლება) ვერ ასრულებს და გაკეთება არაფრის შეუძლია თვისი სამწყსოსთვის ცუდი მაგალითი მაინც არ უნდა მისცეს და ხელს არ უნდა უშლიდეს სხვასა, ეს უბრალო ჭეშმარიტებაც კი ვერ შეუგნია მ. გვ—ნს რაც მან დაგვიმტკიცა მღვდლების კრებაზე ს. ხრესილში პატივცემულ ბლაღ. დ. სირბილაძის თავმჯდომარეობით მოხდა მთელი ოკრიბის მღვდ. კრება რაღაც ახალი ცირკულიარების გამოსაკვლევად. კრებას დაესწრო ადგილობრივი ბიბლიოთეკის ერთი წევრი ბ. გ. ბაქრაძე, რომელმაც გამგის მინდობილობით წაიკითხა სიტყვა მღვდლების მიმართ, აქვე მოგვყავს მოკლე შინაარსი: „აქაურ სულიერ მამებს უფრო მოეხსენება, ვიდრე სხვებს თუ არის მთელი ოკრიბა სწავლა-განათლებას და ყოველივე კულტურულ დაწესებულებას მოკლებული, ისიც კარგათ მოგეხსენებათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლებს და ბიბლიოთეკებს ასეთი ჩამორჩენილი ხალხისთვის, ამიტომ მოგმართავთ თქვენ, როგორც შეგნებულ და მოწინავე ნაწილს თქვენ მიერ რწმუნებული სამწყსოსი დახმარება აღმოუჩინოთ სახალხო ბიბლიოთეკას, რომელიც არსებობს აქ ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკის სახელზედ. დაგვეხმარეთ ვისაც რამდენი შეგიძლიათ და იმით ხელი შეუწყვეთ ხალხის გამოფხიზლებას". ჯერ არც კი გაეთავებია ბ.—ძეს კითხვა, რომ გველესიანი სილაგაკრულივით წამოიჭრა სკამიდან და მთელი თავის მჭერმეტყველობით დაუმტკიცა დამსწრეთ, რომ ბიბ. მეტია ოკრიბლებისთვის და ის არაფერს არ გადიხდის მისთვის, რადგან ჩვენ მას სახლში ვერ გაუგზავნით გაზ. და მისი აზრით, მხოლოდ ჩვენ სასარგებლოდ ვაგროვებთ ფულს და სხვა ასეთები. გვიკვირს რამ გააცხარა მ. გველ. ძალას ვინ ატანდა თუ არ სურდა შემოწირვა! ბიბლ. და სკოლა საჭირო არ არისო ამის თქმა სემინარიელი მღვდლისგან სირცხვილია სხვა რომ არა იყოს. საზოგადოთ კულტურული ადამიანებისთვის ასეთი რიგიანი დაწესებულების შეწევა ჩვეულებრივი არის როდესაც ჩვენ მივმართეთ მღვდ. თავიანთი წვლილი მათაც შემოეტანათ სახეში გვქონდა ასე თუ ისე კულტურული ადამიანების კრება, რომლებიც მარტო პირადი სარგებლობისთვის არ მოქმედობენ, როგორც გვ.—ს.

*) ეს წერილი დაბეჭდილი იყო „კოლხიდაში", მაგრამ რადგან ოკრიბელი მღვდლები არ ღებულობენ კოლხიდას გთხოვთ დასტამბოთ თქვენ პატივცემულ ჟურნალში.

ჰგონია. კარგს იზამს მ. გეელ. თუ თავის საზიამით არ გაგვიზომავს.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გ.—ნი მთელი ოკრიბის მღვდლების სურვილის და აზრის გამომხატველი არ იყო, თუმცა უმეტესობას ხმაც არ ამოუღია მის საწინააღმდეგოდ. მეტად სამწუხარო იქნება თუ ჩვენი იმედი გაცრუვდა, როგორი წინამძღოლობა უნდა გაუწიონ 33196 (1910 წ. ცნობებით) მცხოვრებთ, რომელთა სულ-ხორცი ხელში აბარიათ, თუ კი ასეთი აზრისანი არიან?!

ჩვენი წერილი არ შეეხება მ. ბლ. დ. სირბილაძეს. მ. მუსერიძეს და ორ სხვა მღვდელს. მათ კი მოვახსენებთ ვინც მომხრენი არიან გვ.:

„თქვენთვის კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია თუ ჟურ. გაზ. არა სამკითხველოს შენობას მაინც, სადაც შეგეძლოთ მოგეწყოთ მღვდ. კრება საჭიროების დროზედ და არა სამიკიტნოში, როგორც ახლა გქონდათ და ყოველ მოქეიფეს შეეძლო თქვენთვის ხელის შეშლა“.

ბიბ. გამგე ცაცა დარასხველიძის ასული.

ს. ნიკორწმიდა

(რაჭის მაზრა).

ს. ნიკორწმიდა მდებარეობს სადგურ ტყიბულიდან 25 ვერსის მანძილზე. თუმცა დღემდი ნაქერალის მთაზე ცუდი გზა აძნელებდა მიმოსვლას ტყიბულიდან ნიკორწმიდამდი, მაგრამ ახლა გზატკეცილის წყალობით (ზაფხულობით მაინც) ადვილი სავალია ცხენით თუ ეტლით. ტყიბულის სადგურიდგანვე შეუდგებით განსაცვიფრებელ მთის სიმაღლეს, მიხვეულ-მოხვეულ საიმედო გზა ტკეცილით. 40 წამის განმავლობაში მთის წვერზე ხართ, აქედან კი სულ ვაკეა. 8 ვერს გზას გაივლით და პირველი სოფელი ნიკორწმიდაა; ს. ნიკორწმიდა ბუნებით შემკულია: სამაგალითო ჰავა, საუცხოვო მდებარეობა, სოფლიდან ორი ვერსის მანძილზე, სამხრეთით და დასავლეთით ტყიანი მთები, სამხრეთით მშვენიერი ჭალები, ჭალებშუა კალმახიანი მდინარე წყალი, სახელდობ „შაორი“, რომელიც ნაქერალის მთიდან მიდის ჩრდილოეთისკენ ს. ნიკორწმიდამდი, აქ კი არსად გასავალი არა აქვს და იკარგება ხშირ სათვალეებში შეუმჩნევლად, შუა სოფელში დიდებული ხელოვნების, ბაგრატის აშენებული ტაძარი, რომელსაც განცვიფრებაში მოყავს ყოველი მნახველი თავის შესანიშნავ ჩუქურთმიანი გუმბათით. სოფლის ყველა კუთხეში მშვენიერი მოჩუხჩუხე ცივი ბინული წყალი; კარგი ქუჩები თავის პატარა შუკებით და მჭიდროთ დასახლებულია ოდურათ გადაჭედილი სახლებით—მოგაგონებენ ქალაქს. ს. ნიკორწმიდის ყველა ასეთ ბუნებრივ სიკეთესთან ჯანღონით სავსე მცხოვრებნი—სწავლა-განათლებით მეტის-მეტ დაბალ საფეხურზე დგანან.

ს. ნიკორწმიდაში თითქმის 400-დი მხოვრებია, რომელთაგან 10 მოსახლის გარდა ყველა გლეხია. აქაურ გლეხს ვერ ნახავ, რომ დურგლის ხელობის მეტი იცოდეს რამე და ამ ხელობით გადიან ზამთრობით სხვადასხვა ქალაქებში ფულის საშოვრად. ოჯახი კი ქალების და მოხუცებულების ამარა რჩება. ამიტომ ბავშს 8 წლიდანვე დურგლობის სასწავლად უფრო გზავნიან, ვიდრე შკოლაში. ამიტომაცაა, რომ დღეს წერა-კითხვის მცოდნე ამ სოფელში ნაკლებად მოიპოვება, თუმცა კაი ხანია არსებობს სამინისტრო შკოლა. შკოლისთვის აქაური გლეხი შვილს არ გააცდენს. „შკოლაში სწავლა ზარმაცების მოგონილიაო, სწავლა ხუშტარა და თოხიაო“—იტყვის აქაური გლეხი. მაგრამ დრომ ამათაც აჭყეტია თვალები: თან-და-თან რწმუნდებიან, რომ თოხთან და ხუშტარასთან წერა-კითხვის სწავლაც აუცილებელი ყოფილა.

და დღეს ეს რწმენა იმდენათ გაუღვივდათ, რომ ოთხკლასიანი შკოლაც კი სურთ დაიარსონ. ასეთ სურვილს ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი. 1897 წ. ამ სოფლის ადგილები («შაორზე») საბანაკოთ დაიქირავა ჯარის უფროსმა, რისთვისაც 5000 მ. საიჯარო ფული დაუტოვა ამ სოფელს. როდესაც ეს ფული უნდა დარიგებოდა ადგილების მეპატრონეებს, რომლებიც ვერ რიგდებოდენ ურთიერთშორის, მამასახლისმა მ. ს. ჯიმუხაძემ წინადადება მისცა: „რადგან ეს ფულები საერთოდ ს. ნიკორწმიდის არის, ცოტა კიდევ დაუმატოთ და ს. ნიკორწმიდაში 4 კლასიანი შკოლის დაარსებაზე ვიზრუნოთო, და ეს ფულიც მას შევწიროთო, რითაც დიდ საშვილიშვილო საქმეს გავარიგებთო. ხალხმა მცირე ყოყმანის შემდეგ, სიამოვნებით მიიღო ასეთი რჩევა, და კიდევაც დაადგინა განაჩენი და ითხოვა მზრუნველთან ნებართვა, რაც შეწყნარებულ იქმნა.

სამწუხაროდ ეს სოფელი ინტელიგენციით მეტად ღარიბია და თუ ვინმე აქა იქ მოიპოება შეგნებული პირები (მღვდელია თუ ერი), ესენი თავის პირადი ინტერესებით უფრო არიან გატაცებული, ვინემ საზოგადო საქმეზე ზრუნვით; ამ ანაბანას მცოდნე სოფლის მამასახლისმა ჯიმუხაძემ კი ითავა ასეთი კულტურული საქმე, თუ ბოლომდი ენერგიულათ გაატანა.

ი. ნიკორწმიდელი.

ს. ჯუმათი.

(გურია).

ხაჯალიის წმ. გიორგის ეკლესია.

ეკლესია დაარსდა 1896 წ. რკინის გზის სადგ. ჯუმათის მახლობლათ, პატარა გორაკზე. მრევლი შესდგება 87 კომლ მკვიდრთა და იმერეთიდან ჩამოსახლებულ მართლმადიდებელთაგან, ძლიერ ღარიბია. 1900 წ. შემთხვევით ამ ეკლესიას ესტუმრა რიაზანის გუბერნიიდან სტატსკი სოვეტნიკი ბ. ილია სიმონის ძე ზელიონოვი, ამ კეთილმორწმუნე ადამიანმა, გაიცნო რა ესრეთი ღარიბი ეკლესია, აღუთქვა დახმარება. ამ კეთილ საქმეში მას ჰყავდა ერთგული თანაშემწე ქ. კურსკში მცხოვრები აწ განსვენებული ალექსანდრე ბაუმილერი. ამ პატივცემულ პირებთაგან ხაჯალიის ეკლესიას 3—4 წლის განმავლობაში მოსდიოდა სხვადასხვა საეკლესიო სამკაულები; სამწუხაროდ შემოწირულებათა მეტი წილი დაუყიდნიათ თვით ეკლესიის მსახურთ და დღეს არა თუ ზედმეტი რამ—აუცილებლად საჭირო საეკლესიო სამკაულიც კი აკლია ეკლესიას. ამ ბოროტების შესახებ გამოძიება სწარმოებს და იმედია დამნაშავენიც დაისჯებიან, მაგრამ ეკლესიას ეს ნივთიერად ვერ დააკმაყოფილებს!

მე გამაწესეს ამ ეკლესიაზედ გასული 1910 წლის მაისიდან. ამავე წელს წერილი მივიღე განსვენებულის ალექსანდრე ბაუმილერის ასულის ვერასაგან. ქ-ნი ვერა მატყობინებდა თავის საყვარელი მამის გარდაცვალებას,—მომაგონებდა განსვენებულის ღვაწლს რწმუნებულ ჩემდამი ეკლესიის წინაშე მავალებდა მელოცნა განსვენებულის სულისათვის და მთხოვდა მიმეწერა,—რა მდგომარეობაში იყო ეკლესია, რას საჭიროებდა და სხვა.

ასეთი ეკლესიის მფარველი და კეთილის მყოფელი ადამიანის დაკარგვამ მეც და მრევლიც ძლიერ დაგვაღონა. პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად 22 აგვისტოს 1910 წ. მრევლის თანდასწრებით გადავიხადე. ამასთან ჩემ ზნეობრივ მოვალეობათ დავისახე—მუდამ ვილოცო მართლმორწმუნე ალექსანდრეს სულისათვის, რომელმაც თავისი წვლილი და შრომა არ დაიშურა ღარიბ მართლმადიდებელ ეკლესიისთვის.

მე რამდენადაც მაშინ ეკლესიასთან გაცნობილი ვიყავი, მივწერე პასუხი. გაცნობე თუ რა აკლდა კიდევ ეკლესიას. სამწუხაროდ ხაჯალიის

ეკლესია დღეს იმავე სიღარიბეს განიცდის: არც საჭირო სამკაული, არც სადარაჯო სახლი, არც გალავანი, არც სამრეკლო და სხვა.

ამ წერილით მე მსურს მივაქციო ყურადღება, როგორც თვით ბ. ილია სიმონის ძის ზელიონოვისა და განსვენებულის ალექსანდრე ბაუმილერის მემკვიდრეთა, ისე ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანეთა, ნუ დაივიწყებენ თავიანთ წვლილს წმიდის ეკლესიის სასარგებლოდ, ფულათ თუ საეკლესიო სამკაულებით და რაიმე ნივთებით. შემოწირულებას ამ ადრესით გამოეგზავნება: Ланчхуты, Кут. губ., священнику Ходжалійской церкви Иларіону Глонти. უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა გაზეთის რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ხაჯალიის წმ. გიორგის ეკლესიის
მღვდელი ილარიონ ღლონტი.

კვირიდამ-კვირამდე.

ჟურნალ «ВѢстникъ Грузинскаго Экзархата»-ში № 14 დაბეჭდილია სია ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა, შედგენილი წლიურ გამოცდის შემდეგ. ყურადღების ღირსია სია პირველის კლასის მესამე განყოფილების მოწაფეთა. კლასში სულ 38 მოწაფე ყოფილა და მეორე კლასში ისიც მეორე ხარისხით გადასულა მხოლოდ ს ა მ ი მ ო წ ა ფ ე! ნეტავი რა უნდა იყოს ამისი მიზეზი? შეგირდების უნიჭობა? მაგრამ სასულიერო სასწავლებლები სემინარიაში ხომ საუკეთესო მოწაფეებს გზავნიან ხოლმე სასტიკის გამოცდის შემდეგ და თვით სემინარიაშიც ღებულობენ მათ მტკიცე და მაგარი გამოცდის შემდეგ... სიზარმაცე? მაგრამ რამ დაიზარმაცა ერთის სასწავლო წლის განმავლობაში ის მოწაფეები, რომლებიც სასულიერო სასწავლებელში უკეთესად ითვლებოდენ და სემინარიაში სწორედ ამ უკეთესობის გამო მოჰყვნენ? შენ გამოიცანი, მკითხველო, მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა!

ენკენისთვიდან სიღნაღის მაზრის, ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში იხსნება საეკლესიო-სამოსწავლებლო სკოლა; წესები ამ ახალ საქალებო სასწავლებელში მიღებისა დაბეჭდილია ВѢстникъ Груз. Экз. № 15. სასწავლებლის უფროსად დანიშნულია ბოდბის დედათა მონასტრის იღუმენია, ინსპექტორად მღვდელი მიხეილ ნაცვლიშვილი; მასწავლებელი ქალები—ზოგი რუსეთიდან არიან გამოწერილები, ზოგი კი ძველები დარჩებიან. სასწავლებლის შენობას აკურთხებენ 8 ენკენისთვეს.

აზრად აქვთ ბაქოში ააშენონ სამღვდელთმთავრო სახლი.

ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკონომი მღვდელი ეპიფანე ჯაოშვილი სემინარიაში სამსახურს თავს ანებებს პირველ ენკენისთვიდან.

ბიბლიოგრაფია.

(„სამშობლო ბუნების სარკე“, საყმაწვილო მოთხრობები ივანე ელიაშვილისა. ფასი ექვსი შაური, ყდით 40 კ. «ნაკადულის» გამოცემა.)

ამ ოცი წლის წინათ ჩვენში საბავშო ლიტერატურის სახსენებელიც არ იყო. მეც და ჩემი დროის მოზარდე ყმაწვილები, სანამდი შკოლაში მიმაბარებდენ, ხუცურს ვსწავლობდით და, მახსოვს კარგად, რვა წლის ბავში შაბათობით, როცა მამა ჩემი ეკლესიაში წირავდა ხოლმე, მე სამოციქულოს ვკითხულობ-

დი. სასწავლებელშიაც რომ შემიყვანეს, განსვენებულმა მღვ. დიმიტრი ჯანაშვილმა, რომელიც ქართულს გვასწავლიდა, წასაკითხი რომ ვერაფერი გვიშოვა, სადღაც „ქალ-ვაჟიანი“ ეყიდა და ის წაგვიკითხა გაკვეთილზე. მადლობა ღმერთს, დღეინდელი მოსწავლე პატარა ბავშები ამ მდგომარეობაში აღარ არიან!..

სწორეთ ამ ოცი წლის წინათ თფილისში დაარსდა საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“, რომელიც მალე დაიხურა. 1890 წ. ფრიად საამედო პირმა, პოეტის მიხეილ თუმანიშვილის ასულმა ანასტასიამ დაიწყო საყმაწვილო ჟურ. «ჯეჯილის» გამოცემა და მას აქეთ სასახელოთ ეწევა იგი ამ საქმეს. ამ შვიდი წლის წინათ მეორე საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადულიც“ მიემატა ამას და ჩვენი საბავშო ლიტერატურა, ახლა სრულიად ფეხზე დამდგარი, განაგრძობს თავის ზრდასა და განვითარებას.

მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ ჟურნალებში გაბნეული ბევრი საინტერესო და ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოები, ცალკე არ არის გამოცემული, რომ იმ განძით, რაც ჩვენ ხელთ არის, მოსწავლე პატარა ყმაწვილებმა ისარგებლოს. იყო ამასწინათ „ჯეჯილის“ გამოცემა „ბუნება სურათებში“, „პატარა ლორდის თავგადასავალი“ ელიკო წერეთლის ნათარგმნი, ეკ. გაბაშვილის „საყმაწვილო მოთხრობანი“, წ. კ. საზ. გამოცემა ვაჟა-ფშაველას „საყმაწვილო მოთხრობანი“ და, აი, ახლა წრეულს „ნაკადულის“ რედაქტორმა ქ-ნმა ნინო იოსების ასულმა ნაკაშიძისამ გამოსცა ფრიად საყურადღებო ნაწარმოები „სამშობლო ბუნების სარკე“ მკურნალის ივანე ელიაშვილისა.

„სამშობლო ბუნების სარკე“ ჩვენი ღარიბი საბავშო ლიტერატურისათვის დიდს შენაძენს წარმოადგენს და პრესა ვალდებულია ამის თვისი ყურადღება მიაქციოს. მეც მინდა შევეხო ამ ნაწერებს ძალიან მოკლედ მაინც, მაგრამ ბუნების მეტყველებაში ავტორივით სპეციალისტი არა ვარ... დიდად ნიჭიერი ავტორი აქ უფრო ავტორიტეტია და სწორედ ეს არის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ იგი ერთად-ერთია ჯერ-ჯერობით ჩვენში, რომ მოზარდ ქართველ შავ-თვალა ყრმებს დაუწერა „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“ ასე მხატვრულად მოთხრობანი და იმათ უმანკო გულში აღუძრა და გაუცხოველა სამშობლო ქვეყნის ბუნების სიყვარული.

როგორც ავტორის მიერ დაწერილი ყველა მოთხრობანი ისე „კურდღლის ნაამბობიც“ კურდღლის ცხოვრების სარკეა დარვინიზმის მთავარი მუხლების ბუნებრივი შერჩევისა და შეგუების გატარებით.

„... ჩვენი ქურქი, ამბობს კურდღელი, საგანგებოთ არის დახატული: ალაგ მოწითანო, ალაგ ნაცრის ფერი და ალაგ თეთრი. სწორედ ისეთივე, როგორი ფერიცა აქვს დედამიწას, ბუჩქს და თოვლს, ესე იგი, ჩვენ ირგვლივ მყოფ ბუნებას... აი, ხვლიკიც აგრეა. სულ სილაში და ქვაშაში ცხოვრობს და კანიც სილის ფერი აქვს. სანამ არ გაინძრევა, ვერც კი შეამჩნევ. აიღე თუნდა ხის ბაყაყი: სულ მწვანეა, როგორც ფოთოლი. მოდი და შეამჩნიე. ან კიდევ ფოთლის მღლი და ჭიაღუები...“

გადაიკითხეთ „ყვავის საჩივარი“, „ბუ“, „ბეღურას თავგადასავალი“, „გუგულის ამბავი“, „არჩილის სიზმარი“, „ღაჟოს გულის ნადები“, „ნაძვის ალსარება“, „გამოჭახრაკებული თაგვის ნაამბობი“, „ჭიაშაია“, „დანაღვლიანებული ღამურა“, „გვრიტი“, „მაჩვ-ს საჩივარი“, „მწყემსი“, „ოფოფი“, „შვილი ვარსკვლავისა“ და „ბულბულის ამონაკვნესი“ ხომ პირდაპირ შედევრია.

ავტორს ღრმად მოსიყვარულე გულით და დიდის დაკვირვებით აუწერია ამ პაწია ფრინველების და ცხოველთა ცხოვრება, პატარა მკითხველებს უნათესავებს, აყვარებს და უახლოვებს

იმათ ცხოვრებას, რომ შეეგუონ და შეეთვისონ გარე-შემორტყმულ მდიდარ ბუნებას. იგი აქ არსად არ ხმაროობს მშრალ სენტენციებს, არ მქადაგებლობს ისე, როგორც ჩვეულებათ აქვთ გადაქცეული ბევრს არამკითხველ დაგოგსმწერალს. ავტორი ნამდვილი მხატვარია, ასურათებს ამ მრავალფეროვან ცხოვრებას და მოქარგულის, წმინდა ქართულის ენით დაწერილის ამბებით უსიამებს პატარა ქართველს ყურთასმენას და ჩვილს გრძნობა-გონებას,

„სამშობლო ბუნების სარკე" ივისი უბრალო, მომხიბვლელი ქართული ენის წყალობით წვრთნის ყმაწვილთა ჭკუასაც და ზნეობითაც ასპეტაკებს, ამაღლებს მოკარდ თაობას. ავტორის აღწერა ბუნების ქმნილებათა ამასთანავე ისეთი გრძნობით არ-ს გამსჭვალული, რომ მკითხველი ძალა-უნებურათ იხიბლება ამ აღწერით და ყოვლად შეუძლებელია იგი მათი სიბრალულითა და თანაგრძნობით არ გაიმსჭვალოს და არ აღივსოს.

კაცს გაკვირს, რომ ავტორი ასე უბრალო აღწერით იწვევს დიდს ხალისს წაკითხვისას, ძლიერს ჩაბეჭდილებას და მისი აღწერილობანი, ამიტომაც, ყმაწვილს ღრმად ეჭრება გონებაში. როგორ ხდება ეს ამნაირი, უხილავი პროცესი—ეს მხატვრულად დამწერის საიდუმლოებაა.

წიგნი შნოიანად გამოცემულია, კარგს ქაღალდზე, ლამაზად არის დაბეჭდილი. გამოცემას ბოლოში თვით ავტორის, ბ. ივანე ელიაშვილის პატარა წერილია დასტამბული, სადაც ნათქვამია:

„თუ ჩემი მოთხრობები აღუძრავენ მოზარდთაობას სამშობლო ქვეყნის ბუნების სიყვარულს, ჩემი მიზანიც მიღწეული იქნება.

ვინც საქმის სიყვარულით აღიჭურვება და შეცდომებს მიჩვენებს, ადრევე მადლობას ვუძღვნი".

ხომლელი.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეუავა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

სტამბა „შრომა"

— დაბა ყვირილაში —

ყვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმ.

ვბეჭდავთ: ბლანკებს, ათიშებს, განცხადებებს, წიგნებს, ბროშიურებს და ყოველგვარ მოსწავლეს წერილებს: ქორწინებისას, ნათლისას, სამგლოვიაროსას და სხვ. აგრეთვე კონტორებისათვის სასანგარეშო წიგნებს და წიგნაკებს, კვიტანციებს, იარლიკებს, სადარბაზო ბარათებს (ვიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლებლ სათვის კლასის ჟურნალები და ბილეთები.

საქმეებს გასრულებთ სუფთად და თავის დროზე ძლიერ დაკლებულ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით პატივცემულნი ზაკაზჩიკები.

ადრესი: ყვირილა სტამბა „შრომა".

Адресъ: Типогр. „Трудъ" Квирылы

სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშაოებს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასები ნახატების დირსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და ეოგელ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშაოებს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავ მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ეოვლად სამღვდელო ლეონიდეს ნდობით და გვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრესი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

„შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ეველა უწყებები (**ВѢДОМОСТИ**) წლიური საბლალოჩინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „ძმობის“ გამოცემაა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწეკილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.

სტამბა „ძრომა“ დაბა ყვირილაში. ● Типографія „Трудъ“ въ м. Квирилы.